ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4774400

ნომერი: AR1719653

თარიღი : 19.11.2019

გაცემის თარიღი : 02.12.2019

გაცნობის თარიღი : 02.12.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N122;

დამკვეთი-განმცხადებელი
- იასონ ლეჟავა პ/ნ 37001004209
- თბილისი აგლაძის #26 კორ.6 ბ.7

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს "ლერწამი" კოდი: 206097338

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 18 ნოემბრის №4750705 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 19 ნოემბერს №AR1719653 განცხადებით მომართა იასონ ლეჟავამ და მოითხოვა სამსახურის 2019 წლის 18 ნოემბრის №4750705 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2019 წლის 18 ნოემბრის №4750705 ბრძანებით შეთანხმდეს ქ. თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N122-ში, შპს „ლერწამი“-ის საკუთრების მიწის ნაკვეთზე (ს/კ N 01.17.11.029.074) არსებული №01/3; №02/2; №03/1; №04/1; №05/1; №06/1 შენობების დემონტაჟის პროექტი და გაიცა დემონტაჟის მშენებლობის ნებართვა. დემონტაჟის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 18 ნოემბრიდან 2020 წლის 18 ნოემბრის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2019 წლის 18 ნოემბრის №4750705 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, მიუთითებს, რომ აღნიშნული ბრძანებაში მითითებული უნდა იყოს 07/1 შენობის დემონტაჟიც.

საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2019 წლის 19 ნოემბერს №AR1719653 განცხადებაზე წარმოდგენილ სადემონტაჟო სამუშაოთა პროექტში გათვალისწინებულია №01/3; №02/2; №03/1; №04/1; №05/1; №06/1 და №07/1 შენობების დემონტაჟი. აღნიშნული №07/1 შენობა მონიშნულია ასევე განცხადებაზე წარმოდგენილ გენგენმაზე და 2019 წლის 07 ნოემბრის შპს ,,კოლხა - 07’’-ის მიერ გაცემულ საექსპერტო შეფასებაში, შესაბამისად სამსახურმა მიზანშწონილად მიაჩნია გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ სამართლებრივ აქტში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2019 წლის 18 ნოემბრის №4750705 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 18 ნოემბრის №4750705 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,შეთანხმდეს ქ. თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი №122-ში, შპს „ლერწამი“-ის საკუთრების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.17.11.029.074) არსებული №01/3; №02/2; №03/1; №04/1; №05/1; №06/1 და №07/1 შენობების დემონტაჟის პროექტი’’.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 18 ნოემბრის №4750705 ბრძანებასთან ერთად.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 18 ნოემბრის №4750705 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.